



სალიტერატურო და საბუნებისმეტყველო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის შოველ კვირა ღღს.

№ 8.

თებერვალი 12 1895 წ.

№ 8.

შინაარსი: სამეურნეო და საალემბიკეო ამხანაგობანი (სინდიაკატები) გ. წყოეთლისა.—ზოგიერთი ახალი დამლო-მოსანი, ლესი კოკისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—ქართული ლექსიონი ს. ლოვანისა.—პა ორბა, ლესი აკაკისა.—ტურბიტებ (თეთრი ჭიანჭველები) ი. აღმაშენებლისა.—პარტი საზღვარ-გარეთელისა.—ქარლ-კახეთის შერთობის, სტროიდან ა. გავსეიანისა.—პარტიანი ეგ. ნინოშვილისა.—"ევალი" და მესამე დასის მწერლები (ჩვენი ლიტერატურული დღიური) ს. ჯობლასისა.—ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მახეველისა.

სამეურნეო და საალემბიკეო ამხანაგობანი

(სინდიაკატები)



შინაარსი (საზოგადოების მათ.)

მკონომიური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა დიდ გუკირვესაშია ჩავანდილი. ვაჭრის ფულს თანდათან დარბა სელი ჩვენი წამოკვას. კართეული სალხი ჟერ კიდევ მამა-პაპურ თუქსობას და სენ-თესვას ეწედა, როდესაც მის მოქსრო რეინის გზება, რომელთაც თან მოიტანეს ვაჭრის ფული. ამ ფულს ნახ ჩვენს სარტეულში ჩინებული ნიადგი ზრდისა. აქ ვაჭარი მისვდა, რომ მიწის მუშა, ადგილის მუხატრონე გლეხი და თავად-ზნაური, დედელი და შრეული თანსწორათ სკჳირთებს ფულს. ფულის მუხატრონეებმა შეიგნეს, რომ აქ ფული გარბეს სარტეულს მო-იკედა და შეკერეს ჰირი, დაიჭირეს ადგი-მიცეოების ბაზარი, კოველ სამეურნეო ნაწარმოებს თვითონ და-დეეს ფსი და დეპეტრონენ ნელ-ნელა ადგილ-მამულის მოსაგულს. მათ დაეგრეს ფულის სარტეულით გლეხი, რომე-ლიც მიწის მუშობაში წლათი-წლობამდე ღერის ოფელს, და-ბერეს ეთველი მოხელე კაცი, რომელიც სასულოსნო

ნიკოეპისი გასაკეთებლათ სპირიტუალად მასალის უიდეგად ფული ხელათ :რ ჰქონდა; დაბურეს მუასტონე, რომელსაც ჰინრსული ჰქონდა; მკერამ ამ ჰინრსსულს ფსის არ ედგა. ვაჭრების ფულს ჩანო მიმისვლას ეს განესხნა; მასინ რომელსაც მუყრნ და მიწის მუშა ადგილზე იყო მამბული და; როცა ფულს სპირიტუალად, ვაჭრირც ვარსე ადგებოდა. ფულის აღება მამულის მუშატრონის იყო, სარკუდლის დღეება ვი ვაჭრის ნება. ის ილიოჯა ფულს მსოლოთ იმ პირბობით, თუ ნაწარმოებში სპორელი და უოკელნიანი ნაჭირნასულევი ჩადის ფსისთ დაუკვდავოდა; თვითონ ვი ამ ნაწარმოებს ერთობრთ და ერთი-სამათ ჰქვიდა თვის საკუთარს მასხნადაზე. ჩვენი ადგილ-მამულის მუშატრონეებისათვის პასხარი შეიქნა კარ-ჩაკეტალი, სოლო ფულბანი ვაჭრისთვის კარ-გადებული. ამ ტარმობამ ჩაჯგო ფულბინ ცანების მკარ ვლანტეში თითქმის მთელი საქარეველოს მიწა-წყალი. მეტო მწკვი, მეტო გამათხსინებული შეიქნა ეს ვლანტეები. მს ვლანტე რული სპირიტუალს ერის მიწა-წყლის ნყოფმა და დღეს მოსავლბან ერთათ გაუმადარი ფულის კაჭი თვით სპართველოს მიწა-წყლსაც ვი ჰქვიდავს ნელ-ნელა. რა უკველბა ასეთ სამწესრო მდგომარობას საქარეველოს ერისს?.. აი, სკვითის, რომლის სახსენებლათ მოკლეა ჩვენი ჟურნალ-გაზეთბა უოკელი თვისი ცრბა და გამჭრბისობა, ეკრბობული მკვიდრება და თვით ეკრბობში ნასმარი ეკრბობიური დონისბება ნათლათ ცანბრის თვის მკითხველს, რამ გამობწვიოს ჩვენს საქარეველბს ერში სკვით თვით მოქმედება; მწარმოებლბს ხელი მიჭყობს შესფერ ბრბობლის იარბღ და ვაჭრების სულბ-მხთავ უფლისსკან დახსნხს თვისი წარბობა, თვისი მიწა-წყალი.

შარშან ჩვენბ ჟურნალ გაზეთბბა დიდი უურბდებბა მიჭრბ აბრეშუმის ფსის და ვაჭრბს. გამობდბა რამ ვაჭრბს დასავლეთის საქარეველოს სოფლებში უფსისთ დარბევაბინთ აბრეშუმის თსლი და დაპირბობდენ სოფლებლებს დიდ შემოსავლბს აბრეშუმის მოკვბით, სოფლის სხლები, ჰბლი და კაცი, შედგობდა აბრეშუმის მოკვბანს და მოსავლიც დიდი უოფლიყო. მკერამ რა გამობდა? თვითონვე აბრეშუმის ვაჭრბს შეგონო ბიბი, ფსის და ბდრბთ და სხლბის ნაწვეა-ნდაცო თბით მბინთის ნიკელბოთ ხლებო, ასე რამ აბრეშუმის მოკვბანს ბივის კაფის ფსისც ვლარ ალო. შარშან ჰინრსსულიც ბლობით მოკვიდა, მკერამ რა გამობდა? სობიდის ფსის ბდრბ და მწარმოებელი სხლბს ბიბინც ბირბი ჩილა ვამოკლებული დაწრა. ჰაჭ ვაჭრბბს დასცეს მასხნა, მკერბლებლებბს ფულბს, ამ გაკვბისბება სკვბს უოკელის წარბობისბამ, შეკითბა ნელბდა ეს სხლბის ნაოფდარი, თვითონ მუცელი გაბილო და მწარბელი მწარბობელი ვი ცალოარსე დასვა.

დღეს ჩვენში თნგი საშუალი ღვინ ადგილბობრბე ათ-შეერთი დონს, მბინ რომელსაც ბებე თნგი ღვინო ბბოტბში და ბდესბში ბრ მბნობთ და ბრ მბნობთ ნასკვბრთ ბვიდბა. ვინ ბრის აქ მოკვბული? მსოლოთ შუბბალი ვაჭრბ, რომელიც წინ დადგობდა ნაწარბობას, პასხრე ბრ უმჯობ მს, დალობრბე ათ-შეერთი უ დულობს, რამ ბავის სამფლობელო პასხრბ ბრ მბნობ ნასკვბრთ გაკვიდბს. მწარბელს ნაწარბობის ფსისც ბრ ელკვა, მკერამ თვით შუბბალი ვაჭარი მბსი ჰინრსსულით ვიბეს ისკვლებს. ნეტბე სიბდნ ჰქვბ ბბს იბდენი დონისბება, რამ მთელი ერის ნაოფდბრთ დასავლეთობს. ვაჭარი ბარტო ბავის საკუთარი დონობ მბს როგორ შებდებს, რამ იბს ზურბი ბრ ჰობნეს გამბერბული ამხნაგბბსაკან, მბთხნვე ვაჭრბბისაკან და სოფდარბობისაკან, რომელიც ვაჭრბობის წესბს და რბისამბერ შებმულბს ერთობ, ვაჭრული ამხნაგბბები გაუმბრბათ, ფული შეკვროგბბობ და ამ ფულბს მბრბობით ხელიბან ადბან მოსავლბს ადგილ-მამულის ბარბონს და მუშა ხდლს.

თბილისში ბრის გამბრბული ერთი ბდიდარი ნავაჭრო ბანკი. ამ ბანკში ბდეს ნბლი ფული თვრბეობ, თუ ბვი ბილიბინი მეტბა. რს აკვბებს, რს წარბობებს ეს ფული? წარბობბდებნობ, რამ ამ ბანკში ფულის ამღებბი ბრბან სულ ერთბინთ ჩვენს ქვეყნბში შემოსეული წრბლი და სხილი ვაჭრბი. როცა დაჭრბდებთ ფული, ისინი ამ ბანკიბან სუსხლობუნ ჩვენი მოსავლბის ხიილდობ და ჩვენ დასხვე უბსისხლებობი. ბანკში ვაჭარი ამღებს მსოლოთ შეიბდ-ბრგ განბვი სარკებლებს მბნობზე, მბინ რომელსაც თვითონ ჰინრსსულბს და უოკელბინარი ნაწარმოების ფსისე ათ შერბს, სამ პასხს და ხნდხან მბნობზე მბნობსაც იკებს. ეს ბიდეე არბფერი. ის ჩვენ სხლბში ექბს აგრბთვე მსენებელბს. ვისც ფული ჰინრბბს სოფლობ, ვაჭარბი ბქ ბრის, ასკვბის ფულს და სარკებლებში ნასკვბრბ წლბს სარბობ მიჭებს. თუ გვლებს, ბნ თავბ-ბანხურბს ვაღზე ვერ მბსკა, მბინ დუბარტრონება მბს ადგილ-მამულს, მობრბ და მობსკენს, ასობი ვაჭრბთ ამხნაგბბის ურბობობობ. რომელიც ერთ ბამულებს ამბობხან ფულბან ცანების ამხნაგბბის სობილიერბს?.. აი, ამ შემთხვევისბთვის ბრის მბრბდა მოკვინბლი ჩვენი ანდახს: ურბობა ბრის ბბლბ, განცალკევება სისუსტეობ. დღეს ჩვენი საქარეველობს მწარბობებული სხლბი სულ ცბცალკევებული და ამ განცალკევებაშბ მბინ სისუსტეობ. ცხბდა; რამ ჩვენი ადგილ მამულბს იბუბარბობებ და მიწა-წყლბს მომუშებებბს უნდა იბმბრონ აგრბთვე ილბ შეკრბებული ამხნაგბბობას, რამ მეტრბს მბსკენ ბარბობთ გაუმუცდებენ. ასობთ მოქმედბებაშბ სხნს ჩვენი ერბას, სხვა იბს ვერ უშებლბს რა. ცხბდა; რამ ჩვენი ადგილ-მამულბს მუშატრონეებც იმ ვკარბთვე უნდა შეკრბდენ, შეკრბ ბი-

რი, არ მიუშვან გუბერნი სოფელში, მისდნენ სოფელში უფლებს მწარმოებელს ხელის მოსწვევლი ფული და მოუბო-
 ოს აზარი ჩვენს ჭირსხულს, ჩვენს უოკლეგერს ნ-
 წარმოებს, გაუადვილონ უოკლეს მშრომელს შოჯახსს
 და ადგომა-მპოლის მუხატროვის მისი ჭირსხული შე-
 ადგურ ფასით, რომ მოკვას მწარმოებლის ვაიმეო ჩად-
 ოლეს და არ შოქმაღლით მოსულ გუბერნი მიქსიმოვს.

სანამ შეუდგებოდეთ დანერგვით იმის განხი-
 ლვას, თუ რანაირი წესით უნდა დაწინდეს ჩვენი წი-
 შოების ამხანგობა, სუბიროა, საფერხეთის ამხანგობის
 (სინდიკატების) ისტორია გავიხილოთ, გუბერნიოთ რამდენ-
 იმე მატალით ამ სინდიკატების, რომელთაც დაუ-
 ხსენით მწარმოებელი საღიმი ფულანნი ვაჭრების კლან-
 ტებისაგან. დღეს საფერხეთი ასეთი სამუერნო და ს-
 მუერწელო სინდიკატებით არის მოფენილი. სულ ათი,
 თერთმეტი წელიწადი თუ იქნება, მეტი არ, რაც სა-
 ფერხეთში ასეთი სინდიკატები დაარსეს. ეს დაწესებუ-
 ლებანი გამოიწვიეს იქ უფადურებს სოფლის ხალხის სა-
 დატკამებ და ვაჭრების ფულის სუკობამ. გაჭირებულს
 მდგომარებაში ჩადენილი ხალხი თანდათან ეძლეოდა
 სასოწარკვეთილებას; ამ გარემოებამ თვით ვაჭრობათა
 წოდებაც გამოაფიხილა; გამოჩნდნენ იმათი დიდი
 ფულანნი ვაჭრები, რომელნიც თვითონ შეუდგნენ დატ-
 კი ხალხის უფად-სოფლების გაშუთმებისა სამუერნო
 ამხანგობის დაარსებით. ეს იმით მოახდინეს არა გულ-
 მოწველებით, არამედ იმ შიშის გამო, რომ მუშის ხალ-
 ხში გამოწვეული შფოთი და აჯანყება ბურჟუაზიას ხელ-
 ხვით შთანთქმის ეშუაწეოდა.

პირველი სამუერნო ამხანგობა (სინდიკატი) და-
 რსდა საფერხეთში 1883 წელს ღუჯარ-და-შეხის მა-
 ზნში. ახლა ამხანგობაში იღებს მონაწილეობას ოთხი-
 ათასი კომლი. ამ ამხანგობის მიზანი გუნდობა: გააერ-
 ნელოს თავის წევრებს შორის სამუერნო და მიწის
 მუშაობის საუკეთესო ცდნა, იუდილთ მიწის განსუ-
 ჭებლათ პატრი, კარგი თესლი, სანუშო იარაღები და
 რაც კი საჭირო აკვება ოკუპანთში მოსახმარებელი, გ-
 ასადის თავის წევრების, ანუ ამხანგების ჭირსხალი
 საუკეთესო ფასით, მოუშოვოს აზარი და კარგი ჯლო
 გაითავებს, აგრეთვე მოუშოვოს ჭირსხულისთვის და
 უოკლანარი წარმოებისთვის დასუქობა, დროებითი შე-
 ხანასი ადგილები. ღუჯარ-და-შეხის ამხანგობამ ისე გა-
 რვა წაიფიანს საქმე რომ მსჯე მის მატალით მიხამეს
 სხვა მაზრებში და ათი წლის განმავლობაში მრავალი ამ-
 ხანგობები გაიხსნა საფერხეთის სოფლებში და ქალ-
 კებში. არ თუ იქ, თვით ალერისს ქვეყნისშიაც კი წა-
 ხედენ მცხოვრებლებში მათ მატალით. 1892 წელს მთა-
 ვრობის სტატისტიკური აღწერისთვის ათას-ათას ამხანგო-
 ბა იყო. ამ ამხანგობებში ექვსასი-ათასი კომლი იღუ-
 ბდა მონაწილეობას. თითოეული ამ ამხანგობათაგანი

დღეს ასი-ათასობით და მილიონობით ატრიალებს სხვა-
 დებ-მიდგომო ფულს. ამისთანა ამხანგობებში იღუბენ მო-
 ნაწილეობას არამც თუ მატრო მწარმოებელი სოფლის
 მუშა ხალხი, არამედ დიდი მუშა-მუღებიც, სენატორები,
 მეცნიერნი, დემუტატები, ქალაქების საბჭოს წევრები
 და სხვანი. ამხანგობის შედგენას ძალიან ადვილია.
 მთავრობა არავითარ დაწინდებულს არ აძლევს მის შე-
 დგენას. სრულიად საკმაოა, რამდენიმე ამხანგო შე-
 რთდეს, წერილობით განმარტონ თავისი მიზანი, რა
 უნდათ გააკეთონ, შეიმუშონ ამხანგობის წესდება და
 წარუდგინონ მთავრობას. ის მათივე ამტკიცებს ამ
 წესდებას და ამხანგობა გამართება. ვისაც უნდათ წერი-
 ლით განხილვა, ამ თვითონ უნდა განხილვონ წერი-
 ლობით ამხანგობაში შესვლის სურვილი, ან რომელი-
 მე დამფუძნებელი წევრის წარდგენით მიიღებენ. უოკე-
 ლმა ამხანგობა პირველი განსხვავებული საწევრო ფუ-
 ლი უნდა შეიტანოს და მერ უოკლე-თვითი ამღვეს
 ერთიველც გადაჭრილ ფულს. სინდიკატის ამხანგობა
 ადგება ამ ნიართ: ამოიხრევენ დამფუძნებელნი თავმდ-
 ომარეს, ერთს სამის მწარმოებელს, სხვინადაც და
 რჩევის წევრებს. ამ გვართ შედგენილმა გამეოვამ უნ-
 და აწარმოოს ამხანგობის საქმე. წელიწადში მოხდება
 ან ერთხელ, ან ორჯელ სახოჯლო ამხანგოა ვაჭრა,
 რომელიც მიიღებს ხალ წევრებს და დაადგენს რა უნ-
 და აკეთოს ამხანგობის გამეოვამ, კანდიდოს, თუ შე-
 ანდროს ამხანგობის მოქმედებას. სამხანგო თავისი
 ადგამს ერთმანთ შეტანილ საწევრო ფულთაგან, თი-
 ურთი შეტანს ფულიდან, მიწვეული წევრების შევი-
 რულებათაგან, ქალაქის გამეოვამ მიერ დასამხრებული
 თავისთაგან და, თუ საჭირო იქნა, თვით სამუერნო
 მიხისტრიც უწევს მას ფულათ დახმარებას.

საფერხეთის დაახლოებამ რუსეთთან მა-
 ლიან გამოავისიხლა ჩვენი მთავრობაც. ჩვენს სამუ-
 ერნო მიხისტრს სრულით გადამოიღო საფერხეთის
 სამუერნო მიხისტრის ტიტო მაქსიმევიას და ჩვენი
 სასაქმეოეო ანკი მუხთ არის ჩვენს სოფლის ხალხს
 მიწვენიონს ით-ფისანნი სესხის. ამ უმით თვითლისის
 ქართულ განათლებულ წრეს უკვე მოუვიდა ამავე სა-
 მუერნო ანკის წესდებას დამტკიცებისას. ეს ანკის
 შემადგენს ძალიან მიმზგავება ერთ შემთვევამ საფერ-
 ხეთის სამუერნო სინდიკატის მოქმედების სისათის და-
 იქნდა, ამ ცოტანში სამუერნო ანკის დამფუძნებუ-
 ლი წევრები გადევნებულნი ამ სამუერნო ანკის
 წარმოებისას. ეს პირველი ნაბიჯი იქნება ჩვენი სამუ-
 ერნო ამხანგობის მოქმედებისას. ვისაც კი მიწვეება
 უფრო ეს სისამოეო ამავე—მეანტრე იქნება
 ის თუ გლეხი, დეკლი, ან მრეული-ველიანი უნდა
 მოკმუნდეს, ამ ანკში წევრთ ნაიწერან, რომ შეუ-
 დგეთ საერთო ძალით ჩვენი სამუერნო და სამრეწელო
 წარმოების განთავსუფლებას. რიკა შეუკვას ან ჩვენი
 მომავალი სამუერნო ანკის მინიჭილობას და მის და-
 წეობადეებს, ამის მერე მოავსებენ მითიხელებს.

გ. წერეთელი.

ზოგირთი

ახალი დიპლომასანი



აი, ადგილს მივგენი,
რალა მიჭირს, რალა მიშავს!
ჯიბე ფულით გავიტენე,
შეწინებრათ ეჭამ, ესეამ, მძინავს.

*

ჩემ ტოლსა და ამხანაგებს
თუ რომ მკაცრათ ბედი რისხავს,
მე რას დადევ? რას დადევდებ,
როცა კარგათ ეჭამ, ესეამ, მძინავს.

*

ხორცი მაკლდა, შევიძიე,
ტანადობა დევს მიმიგავს;

იმიტომ რომ უღარდელათ
ეცხოვრებ ჩემთვის, ეჭამ, ესეამ, მძინავს.

*

საკოლო ქალს კარვს დადევდებ,
ფულიანს და მზეთუნახავს;
ისე ან კი ვინ რათ მინდა,
ახლაუ კარგათ ეჭამ, ესეამ, მძინავს.

*

ქვეყნის საქმეს რას ფუყურებ:
ბარიეობს, ვინც მას თვის შეწირავს,
ის არა ჰჯობს თავისუფლათ
ჩემთვის ცალკე ეჭამ, ესეამ, მძინავს.

*

ესა ვარ და ეს ეიქნები,
სულელია, ვინც გამკიცხავს,
ვის რა უნდა, რა საქმე აქვს,
მე ჩემთვის ვარ, ეჭამ, ესეამ, მძინავს.

კრაი

სხვა-და-სხვა ამბები

ანჯაში ქართველ საზოგადოებას სანუგეშო ცხოვრების ნიშანი ეტყობა. მას აქეთ, რაც იქ კაცების რკინის გზამ შეაჯგუფდა დასავლეთ საქართველოს მამულიის შეიღებები, ჩვენი ცოცხალი იმერელ-გურულები, განჯის ხალხმაც იწყო თანაგრძნობით მოსმენა ქართული სიმღერებისა და წარმოდგენისა. ამ ცოცხა ხანში იქ გაუმართავთ ბ. ნ. ყანჩაველის თაოსნობით ქართული საღამო, რომლის წმინდა შემოსავლიდან ორი მესამედი გადაუღვიათ მომავალი ქართულ დედათა შკოლის სასარგებლოთ.

*

კახის შკოლის მასწავლებელი ალ. ხ-ხ—ლი მადლობას უძღვნის საქალბო სკოლის მოწაფეთა მაკეიერათ მოსკოვის ქართველ სტუდენტებს ამა მდგომარე წლის ქურნალ „ჯეჯილის“ შეწირვისათვის.

*

ამ დღებში ყოვლად სამღდელო ეპისკოპოზი ალექსანდრე დიდათ ნასიამოვნები დარჩენილა მცხეთის დედათა სკოლის მოწაფების სწავლით. მათ შეენიერათ ცოდნით ქართული წერა-კითხვა, გალობა, საღეთო რჯული და ლექსები.

ყოვლად სამღდელოს მცხეთის სეკტისცხოველის ტაძარიც დაუთვალეიერებია და გადაუწყვეტია საშენებელ კომიტეტს მისი გადაკეთება, რადგან ტაძარში წვეთი ჩამოდის.

*

გულითადი მწუხარებით მოვისმინეთ უკანათლებულესის ალექსანდრე ბაგრატიონის გადაცულათფილისში. ეს იყო მეფის სოლომონ მეორის ძმის ბაგრატის შეილიშვილი. მას დარჩა ერთი ძე. ვისურვებთ მის აღზრდას სანუგეშოთ მშობლისა.

*

ხონიდან მოგვიედა ამბავი, რომ იქ შემდგარა მებარეშუმეთა ამხანაგობა, რომლის განძრახვა არის მოიპოვოს კარგი თესლი, საუკეთესო პარკის სახმობი შენობა და პრეშუმის წმინდათ ამოსახვევი იარაღები, იმეცადინოს გააუმჯობესოს ამხანაგებში პრეშუმის მოყვანის ხელობა და დამზადებულ საქონელს კარგი ბაზარიც მოუპოვოს. ამ საგანზე დაწერილბით ანგარიშს დაესტამბათ შემდგეში.

*

კუბი-გუბის გამსესხებელ-შემხანველ ამხანაგობის საქმე შეენიერათ მიღის. გასულ წელს ამხანაგობას მოუტრიალებია ორმოც-და-შვიდი ათას მანეთამიღის. ამხანაგობის თანეი ოცდობო ათასს მანეთზე მეტი აქვს. ამის დაწერილბით ანგარიშსაც შემდგეი „კვალის“ ნომრით ვაუწყებთ მკითხველებს.

ქართული ლექსიკონი.

აკაის „განცხადებასაით“ — მა მომაგონა ერთი პატარა წერილი, ამასწინათ „ივერიში“ დაბეჭდილი. მე იქ ის აზრი გამოვთქვი, რომ შემდგარიყო თანა და ამ თანხის საშუალებით შეეკრიბათ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში ქართული ლექსიკონისათვის მასალა. ჩემი მაშინდელი ხმა დარჩა „ხმათ მლაღადებელისა უღამნოსა შინა“; აკაის სიტყვები კ, იმედი მაქვს, თანაგრძობას გამოიწვევს ჩვენს საზოგადოებაში, და ამიტომ მინდა - ჩვენი სახელოვანი პოეტის წინადადებას ჩემი წინადადებაც შეუერთო, რადგან ორივე წინადადება ერთმანეთის თანამგზავრია და თანაბარი.

ვისაც ჩვენ ლექსიკონთან საქმე ჰქონია, ყველა დარწმუნებულია, რომ იმათ დიდი შემუშავება და შექცება ჰქირდება, ხალხის ცოცხალი ენის სიტყვებით. განსაკუთრებით ბოტანიკურ-ზოოლოგიური ჩიტი ნაწილი მეტაჲთ ღარიბია და გამოუყვეველი. ბევრი იმისთანა ცენტებათა გამომხატველი სიტყვები არ არის შეტანილი ჩვენს ლექსიკონში, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ჩვენი სათარგმნი ლიტერატურისათვის და რაცა გაამძღვრებს ჩვენს ენას, — და ეს სიმძიდრე გამოურკიველათ იმალება ჩვენი ხალხის სხვა-და-სხვა კუთხის ენაში. მაგალითათ, ავიღოთ თუენდ გურული ბოყვიანი სახლის ნაწილების სახელწოდებანი: აფრა, ამტანი, ნეკი, ქუდი, სათავე, სარტყელი, ბოყვი, დეირო, ანძისფხვი, ვა-

ც, წინადა, კვენდლი, ჩასაკრავი, სახცავეი, ქუაი, კაი, ბელურა, და სხვა. ეს სიტყვები ან სულ არ არის მოხსენებული ჩვენს ლექსიკონში და ან მოხსენებულია სულ სხვა მნიშვნელობით.

ვისაც აკაი ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებთა შეკრებას ავიღებს, იმათე უნდა მივწოდო, ჩემის აზრით, ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა საგნების სახელწოდებათა ჩაწერა. ამისათვის საკმაო არ არის, საზოგადოთ ითქვას, რომ შემკრებელმა ყველაფერს მიაქციოს ყურადღებოა. შემკრებელთ ხელთ უნდა ქონდეს წინდაწინე განსაზღვრული დაწერილებითი პროგრამა და გვემა, რომ ყოველგან ერთნაირი ზომა იქნეს მიღებული.

ერთობ დაგვიგვიანდება, თუ კერძო კაცის ინიციატივას ვუცადეთ: ქართულის მოყვარულსა და მკოდნეს დღეს ჩვენში არც მატერიალური საშუალება მოვაგება და არც ფიზიკური, რომ რუსთ ლექსიკოგრაფის დილის მსგავსათ, თავის სამშობლო კიდით-კიდე მოიპოროს და შეკრიბოს სიტყვიერების მიძღარი მასალა.

ამიტომ ფრიათ საგულისხმით და საყურადღებოთ მიგვიჩინა აკაის „განცხადებასაით“ და ძალიან სასურველია, ჩვენმა საზოგადოებამ არ დაშუროს თავისი წელილი ამ საერო საქმისათვის.

ჩვენ თავის დროზე წარუვლდეთ „კვალის“ რედაქციას ამ საგნის შესახებ დაწერილებით პროგრამას.

სალოვან.

პ ა ნ ა რ ა მ ა *)

(პოეტებს)



ოტა ნიჭი, ცოტა ცოდნა;
ზედ ქართული ანაბანა...
ცა ქუდათ არ მიპჩინა
და ქალამნად ეს ქვეყნა!

ხან რუსთველობს, ხან შავთელიობს,
ხანაც მოიჩახრუხავებს...
აძიწვარებს ტკბილ-ქართულსა:
ხან თავს ქრის და ხან ატყავებს.

საპირადო და საკუტო
აზრებს აძლევს საღალ ბანსა;

სიტყვებს გააქვს ბრახა-ბრუხი,
როგორათაც ბარაბანსა.

წამოაჯავს ტკბილ-ტკბილ რითმებს:
„ქუტო — მუტო, გულო — ფულო!“
და ბოლოში მიაკერებს:
„ოჰ, მამულო დაღუპულო!“

ენიც ამ სიტყვებს ახდა-უბდათ
მიაკოსებს... მოაკოსებს,
პოეტია!.. სხვა რა უნდათ
ჩვენ კაკაკა-კრიტიკოსებს?

ამ სიტყვებში ეხატებოთ
ხელოვნება — პოეზია!..
ია, ვარდი და სუმბული
მათთვის მხოლოთ ჩალო-ბზეა!..

*) იხ. „კვალი“ № 7

ტაშს უყვრენ და იძახიან:
 „ეაშა! ეაშა!“—გენიაო!..
 დაცემული ჩვენი მხარე
 ამის აღნადგენიაო!

ზეგარდამო შთავონებით
 ცამდი აწუთლიაო
 და ვინც ამას თაყვანს არ ცემს,
 ის ბოროტი სულიაო.“

შეფერებულ ვითომ პოეტს
 თავი მოაქვს რალაც დიდთ
 და მწერლობას ცხოვრებისთვის
 ის იკეთებს გზათ და ხიდათ:

ხან აქ არი, ხან იქ არი
 მიძვრებ — გაძვრებ — გამოძვრება!
 მაგრამ ყველაზე მედილურობს,
 კოლოტივით იბერება.

იცის კარგათ, რომ ამწონი
 და გამზომი არეინა ჰყავს...
 რომ კრიტიკოს — გაქკაქები
 ვერ არჩევენ ბულბულს და ყვავს.

აი, ამან გაასწორა...
 მხოლოთ ამან მთა და ბარი
 და მიტომაც მრავალია
 პოეტების მადებარი.

აგაჟ

(შემდეგი ოქნება)

პ ა რ ი უ ი

შემდეგა *)

IV

ა არის პარიჟში შესანიშნავი? საუსტოვე კითხვა! რა არის შესანიშნავი მაგალითათ თფილისში, ქუთაისში? ეს კიდევ მესმის, მაგრამ იგივე კითხვა პარიჟის შესახებ გავანილა! აქ უნდა იკითხოთ: რა არ არის შესანიშნავი? ესეც მოუხერხებელია, ამ კითხვის გადაჭრაც ისეთი საძნელოა, როგორც პირველის. როცა პარიჟში ჩამოდიხართ, მაშინვე შესანიშნავი რამე გსურთ ნახათ, დადიხართ, ეძებთ, ამა თ. ნუ თუ შესანიშნავი არა არის რა? საბრალო! შესანიშნავი არა არის რა იმიტომ, რომ ყველაფერი შესანიშნავია. მაშ არაფერია იმასთანა, რაც შესანიშნავი არ იყოს! რა არ არის შესანიშნავი? დადიხართ, ეძებთ, გინდათ ნახოთ ის, რაც არ არის შესანიშნავი, რომ მით შემდეგ შესანიშნავი მონახოთ. მაგრამ ამათ. თქვენ მთავრად პლანეტიდან ხართ მოსული და რა ნართ უნდა გააჩიროთ აქ არა-შესანიშნავი შესანიშნავისაგან. თქვენ მხოლოთ ყველაფერს ერთნაირი ცნობის მოყვარეობით ათვლიერებთ და ბოლოს ამ დასკვნამდ მიდიხართ. პარიჟი ერთიანთ შესანიშნავია. ამის შესახებ ჩვენ ზევით მოვილაპარაკეთ, მოკლეთ ვაქებით, თუ რას წარმოადგენს პარიჟი საერთოთ. ახლა კი ვეკითხავე: რა აინტერესებს ქარ-

თველ მკითხველს პარიჟში კერძოთ? ამაზე უკვე-ლია სხვა-და-სხვა პასუხს მივიღებ: ქართველი პოლიტიკოსი მეტყვის — დემუტატთა საკრებულო, პარლამენტიო; ქართველი ახალ-გაზნდობა — პარიჟის ახალ-გაზნდობაო, ქართველი მწერალი — პარიჟის მწერლობაო და სხე. დღიწყით პირველით.

ერთმა პარიველმა მოთხრა: ფრანგთა ხსიათი და ისტორიული განვითარება თუ გსურთ გააცნოთ. დემუტატთა საკრებულოში უნდა წახვიდეთო. ეს ჩრჩევა მაშინ ჩემთვის ცოტა გაუგებარი დარჩა, მაგრამ ახლა კი ამასევე ეურჩევე ყველა უცხოელს. მართლაც, წარმოადკინეთ ერთი დიდი დარბაზი, სადაც თავმოყრილია მთელი ერის წარმომადგენელი არ არის დარჩენილი საუზრანგეთის არც ერთი კუთხე, რომელიც აქ წარმოდგენილი არ იყოს! აქ შევხვდებით: პარიველს, ბრეტონელს, პროვენსალს, ნიმელს, პადკალელს, კორსიკელს და სხე. საშუალო საუკუნოებში ყველა ეს კუთხე ცალ-ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, თითოეული თავისთვის ცხოვრებდა, დღეს კი ერთმანეთს ვადაჯაჭვებია, ერთთათ მოკრებილა და ამ კავშირისაგან წარმოშობილა ის, რასაც საფრანგეთს, საუზრანგეთის ერს ვეძახით. არ იფიქროთ, ვითომ ამ ერთობაში გამჭირა-ლიყოს პირადობა, საუზრანგეთს ჩაყვლაპას თავისი ნაწილინი. აბა, დააკვირდით სამხრეთელს ქტევაში, ლაპარაკში, მოქმედებაში. მას თავის კუთხის ბეჭედი აზის. ის განირჩევა ჩრდილოეთისაგან. როცა მარსელელი ლაპარაკობს, პარიველი გაიცინებს! როცა პარიველი ლაპარაკობს მარსელელი გულმოდგინეთ ყურს უდგენს, ეგების გავპარიველდოა. მისთვის

*) იხილეთ „ეკვალა“ № 7.

გაპარტიკლება ნიშნის არა თავისთავის უარყოფას, არამედ გაშლამიწინებას, გაფარავებას. მაშ შევიდეთ იმ დარბაზში, სადაც ხალხის სახელით საფრანგეთს განაგებენ. შიგნითა მოწყობილობა ამფიტეატრულია, პირდაპირ, კედელზე, გამოსახულია შეგნიერი ქალი, რესპუბლიკის სიმბოლო, რომლის ზევით ოქროს ასოებით ამოქრილია: რესპუბლიკა, თანასწორობა, ძმობა, თავისუფლება. დარბაზი, როგორც ხედავთ, სადაა. კარებიდან რაღაც თოვების ჩხარა-ჩხური მოისმის ჯარის კაცნი დამწყობედენ და მეკარემ დიძახა: ბატონი თავმჯდომარეო! შემოვიდა უბრალო სერთუქში გახვეული კაცი და მალალ ტრიბუნაზე დადგმულ საფარძელში ჩაჯდა. აი, ეს არის სხდომის მიუღვამიელი წინამძღვარი, ორატორის თავისუფლების დამცველი, ბრძოლის მოწეს-რიგე, არჩეულთა-არჩეული, ეს დეპუტატთა თავმჯდომარეა. მის წინ დაბლა, მეორე ტრიბუნაა. აი, ეს არის ორატორთა სარბიელი. აქედან იბრძვიან იასები, აქედან გაისმის დეპუტატთა სიტყვა პარლამენტში, გადადის გარეთ და ეფინება მთელ საფრანგეთს, მთელ ქვეყანას. აქ იბრძვიან არა შეწინემობისათვის, არა-მედ დედა-აზრის პრინციპისათვის. მართალია, ეს ბრძოლა მშვიდობიანია, მაგრამ ხშირათ აქ ატყეილი ბრძოლა ქუჩაში გაგრძელებულა და პარტიკელთ ერთმანეთის სისხლი დაუღვრიათ. ტრიბუნაზე ბრძოლა მხოლოთ დსაწყისია ქუჩის, სახალხო ბრძოლის, რაც იმას ამტკიცებს, რომ პარლამენტი ზეციდან ჩამოვარდნილი არ არის. ის ხალხის ტყვიელების ნაშობია, მისი სისხლი და ხორკია. მიეუბრუნდეთ დარბაზს. დეპუტატები დიდი გრიალით შემოდინან, ზოგი რაღაცაზე ხმაურობს, ზოგი ერთმანეთს ედავება, ზოგი ხუმრობს და იცინის, ყურთა სმენა აღარ არის, ზოგი ჯდება, ზოგი ეფხება; ამ კუთხეში ერთ-ერთი გჯუღუღია, იმ კუთხეში მეორე, საერთო არეულობაა. აქ-იქ ხედავთ თეთრი თითი შემოსილთა-ეგებს, უფრო ხშირათ ქალარებს და კიდევ უფრო ხშირათ შეთმინათ, ახალგაზღვური გამოხედულობით. ეს უმრავლესობაა. გუგებით არაფერი არ გესმის, ყველა ლაპარაკობს. მოიხედავთ ტრიბუნისკენ და თურმე რამდენი ხანია ერთ. ორატორს ლაპარაკი დაუწყა; მხოლოთ ორი სტენოგრაფი შეჩერებია პირში, არიქა, მასი სიტყვა ისტორიას არ დაეკარგოსო. ტყუილათ რეკს თავმჯდომარე, ჩუმათ, ჩუმათო. ფრანგები ფრანგობენ, კიდევ უფრო ხმაურობენ; ორატორი კი, ვითომ ყველა სმენათ იყოს გადაქეული, თავისებურათ მკვერამეტყულობს. უცებ ერთ-და ნაწილად ზრიალი ატყა, მეორე ვაშა, ვაშას იძახის. რა მოხდა? ორატორმა თქვა რაღაც, ვაკს პირკელს არ მოეწონა, მეორე კი თანაუგრძნობს. სა-

კლადი ორატორი! რანაირათ დააკმაყოფილოს ყველა! აქ მოლაპარაკეს დიდი გულ გრილობა უნდა, ან არ გისმენენ, ან და, თუ მოგისმინეს, ერთი ნაწილი ყოველ წუთში სიტყვას გაწყვეტინებს, არ მოწონს, მეორე-ყოველთვის ტაშს გიკრავს, კმაყოფილია. როცა მინისტი ლაპარაკობს, პირი უკიდურესი მემარცხენისკენ აქვს მიქცეული, ვითომ სურს ესენი დაარწმუნოს სიმდიდრე-სიღარიბე ბუნების კანონიაო, სწორეთ ისე, როგორც ნაპოლონ მესამის მინისტრი რესპუბლიკანელებს არწმუნებდა ბუნების კანონი მონარქიაა და არა რესპუბლიკაო. დასთა ბრძოლა თანდათან მწყვედება და ხშირათ სხდომა საშინელი აურ-ზაურით თავდება. მოწინააღმდეგენი ერთმანეთშია კი არ არიან არეულნი, რაზმ-რაზმით სხედან თავიანთ მეთაურებით. შემოვადენით თვალთ ამ წყებებს, ეს დიდად საუფლისძმია. სულ მარჯვნივ, უკანასკნელ სკამზე დაინახეთ ერთ ღვღელს. საგრო ყრილობაში მხოლოთ ერთი ღვღელი უნდა იყოს? საშუალა საუწყურებში ქვეყნის საქმეებს სამუდგოდ განაგებდა, დღეს კი ისე დაქვეითებულა, რომ არაერთიანი უფლება აღარ შეკრენია და კანონ-მდებლობის ასარეზიდანაც გაურქვიათ. როცა ერთ-მეორება გადიდრდა სამუდგოდელებს ჩამოვრთვა სამოქალაქო უფლებებში და თავის მორჩილთ განხადა. ამ გეგრათ მონარქიამ უარყო სამუდგოდელების ბატონობა, მისი ადვლით თითონ დაიჭრა. აი, ამის ნაშთსაც ვხედავთ პარლამენტში. იმ მუღდლის გვერდით ზის მონარქიელთა პატარა გჯუღუფი. ერთ დროს დასი იყო ქვეყნის ბატონი, ახლა კი ისე დასუ-რავებულა, რომ რამოდენიმე დარჩენილა. რა მოუვიდოთ? რესპუბლიკამ უარყო მეთე და სამეფო-წყობილება, მუღდა რესპუბლიკელთა დიდი უმრავლესობა, რომელიც იწყება მონარქიელების გვერდით და მოიღის მარცხნივ. ამათ ხელშია დღეს მთა-ერობა. ამ გვართ, მონარქიამ უარყო სამუდგოდე-ება, რესპუბლიკამ მონარქია. პირველი ორი შევრ-თბა მესამის წინააღმდეგე. მაგრამ არც ამ გაჩერდ, ცნობრება. რესპუბლიკელობის იქით ჩვენ ვედავთ ახალ დასს, რომელსაც უკიდურეს მემარცხენებს უწოდებენ. ამათ სურთ სოციალური რესპუბლიკის, ანუ საზოგადო-საკუთრების დამყარება. ესენი ეკუთვნიან უმრავლესობას. რომ ხედავთ, როგორი უკიდურესობით მარდის ისტორია. თქვენ უარყავით მეფობა, ჩვენ თქვენ-ბი, ბურჟუეების უარყოფლით ვართ, მერმისი ჩენ-ნიაო. ახლა ამათ წინააღმდეგე შევრთდენ ყველა-ზევით მოხსენებული დასები: კლევიკალური, მონარქიული, რესპუბლიკანური. აი, ისტორიის ფე-ლოსაფია. წინ-გადადგმული მეორე ნაბიჯი ერთე-ლი ნაბიჯის უარყოფაა, მესამე—მეორის და ასე ბოლომდი. ეს ჰეგელის ტენისის და ანტიტეზისის განხორციელებაა... ემარა, ბატონო პოლიტიკოსე-ბო, ამან რა ლაპარაკი. ნუღარ დაიჩემებთ, ცნობრება ჩემით თავდება, მე ვთქვი მისი უკანასკნელი სიტყვაო...

საზღვარ-გარეული

(შედეგ ქება)

ტერმინები

(თეთრი ვინჯულები)



აიკანით, შესწავლეთ, დაუხლოვდით ბუნებას; შეაჩვიეთ თავი მის კვლევადობას და გაძლიერეთ თავლებათ თვით ბუნების შემოკმედს, რომ ათასი წლის სიცოცხლეც არ მოგებინებდებო!

მე დარწმუნებული ვარ იმ უკუნურთა რიცხვთა შორის, რომელიც ძალათ ესალმებიან ამ წუთისოფელს, არცერთი არ უჩვეია, რომელსაც ბუნება ყურგობდეს და მასთან დაახლოებული იყოს!

ამას გვიმტკიცებენ, სხვათა შორის, სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც ბუნებასთან დაახლოებულნი არიან და ლეთიურ შრომაში ატარებენ დროს. გარწმუნებთ, ვერ დამისხვლებთ ვერც ერთს შემთხვევას, რომ სოფელს, პატრიარქის მშრომელს ძალათ თავი მოეკლას! თუმცა კი ყველამ კარგათ ვიცით მათი გაკურნება მატერიალური მხრით.

ღიან ბატონებო, აინთეთ გულში ცეცხლი ბუნების სიყვარულისა, შეისწავლეთ მისი უთითომელი და უტყლელი კანონები, დაუხლოვდით ცხოველმყოფელ ბუნებას, დაწაფენით ამ უკუდავების წყაროს და იმდენ უღკვედ საინტერესო ფაქტებს გაიგებთ, რომ სიცოცხლის ინტერესი ერთი-ათასათ აღეჭმურით და ძიება-კვლევით სამართის ნაირათ დატყბებით.

მაგრამ, რას ვამბობ, ბუნების ცოდნა მარტო გასართობია? განა მთლათ ჩვენი კეთილ-დღეობა ბუნების ცოდნაზე არ არის დამოკიდებული? ეს კვშმარიტება ხომ ყველასათვის ცხადია.

—

აერ დააკვირდით თუნდ ამ ნახატს, რა ნაირი ცხენ-დარბაზებია აშენებული. ამისთანა ცხენ-დარბაზებს ხშირათ წააყვებდა ხოლმე მგზავრა ცხელი ქვეყნების ტყეებში. მეტადრე დასაუფრეთ აფრიკაში იმდენა ამ გვარი შენობები, რომ კაცს ეგონება ზანგების სოფელში თუ შეველიო; მაგრამ როცა გააკვირვებული მგზავრი კარგათ დააკვირდება, აღმოჩნდება, რომ ეს ცხენ-დარბაზები ჯინჯულების ტოლა მწერებს—ტერმინებს ეკუთვნით, რომელთაც იდიო ხელოვნებით აუშენებიათ ამოდენა კოშკები.

შედარებით რომ ვთქვათ, ეს შენობები მართლაც და უზარ-მზარია არიან. ბუნების მკვლეველი მეცნიერი ბოუნერი მოგვითხრობს: „რომ შევღაროთ სიდიდით ჯინჯულა (ტერმინტი) კაცთან და მერე ტერმინტის სიდიდე შეუღაროთ მისგან აშენებულ კოშკებს, მაშინ გამოანგარიშებით აღმოჩნდება,

რომ კაცმა, რომელიც ამ ჯინჯულებს შეეჯიბრება, უნდა ააშენოს 400 საყენებ უმაღლესი კოშკი! წარმოიდგინეთ ახლა სიმკიდრე ამ გასაცარ შენობისა.

ტერმინტები ამ თავის ცხენ-დარბაზების ასაშენებლათ მასალათ ხმარობენ ქვას (კენჭებს), თხას და ხეების ნაშტრევეებს. ამ მასალას მუშა ტერმინტები—კალატოზები თავიანთ ნერწყვით ამზადებენ და მერე აწყობენ კედლებს და გამოჰყავთ ისეთი მავარი ფეშმთიანი კოშკები, რომ სპილოების სიმძიმესაც კი უძლებენ, სპილოების ნახირი როცა ამ კოშკებთან გაივლის ხოლმე, ამათზე იხებენ გვერდებს. გარეული კამეჩებიო, ამბობს მაქსიმოვი, ამ კოშკების თავებზე ავხანიათ ხოლმე თავიანთ ამხანაგს შორი-დარაჯს კამეჩს, რომელიც ამ სიმალიდან გარშემო ათვალბებებს—არაქა მტერი არსიდან დაგვეცოსო.

ტერმინტებს თეთრ ჯინჯულებათაც იწინებენ. ეს არც საკვირველია, რადგან ხასიათით, ყოფაცხოვრებით და ზნე-ჩვეულებით მართლათაც ძლიერ წააგანან ჩვენი ნაცნობ შეე ჯინჯულებს.

მაქსიმოვი ამბობს, რომ ჯინჯულებივით ტერმინტებზე უტყველათ საზოგადოებრივ ცხოვრებას მიდეწეო, შოლოთ იმ განსხვავებთ კი, რომ ჯინჯულებს უყვართ რესპუბლიკური მართვა-წყობილება; ტერმინტები კი საშინელი თაყვანისმცემლები არიან მონარხიულ პრინციპებისაო.

ნახატზე რომ შეპრის თავებივით აწოწილ შენობებს ხედავთ, ვე თითოეული ცხენ-დარბაზი ცალკე სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

დიდათ საინტერესოა გაიცნოთ, შიგნით ამ კოშკებს რა მოწყობილება აქვთ და ან რა ცხოვრება ტრიალებს ამ რამდენიმე მილიონისგან შემდგარ ჯინჯულების (ტერმინტების) სამეფოში.


იგივე ბოუნერი ისეთი ინტერესით და აღტაცებით ადგოწებს ტერმინტების შენობების შიგნითა მოწყობილებას და ამ ჯინჯულების ცხოვრებას, რომ იმედია, ცნობის მოყვარე მკითხველი ბევრს ისიამოვნებს.

„შიგნითა მოწყობილება ტერმინტების ბუდეებისა,— ამბობს ბოუნერი— ისეთი რთული და მრავალ-ფეროვანია, რომ ამათი აღწერით მთელი ტომები გაივსებოდა. აქ უფლებდებათ ურცხვო, მილიარდობით ოთახები, თაფლის ფუჭის მსგავსი ფოსოები, ბაღლებისათვის განსაკუთრებული ოთახები, საკუქნაოები, საყარაულო ოთახები, საძრომლები, დერეფნები, სარდაფები, ხიდები, გვირაბები, გზები, კიბეები, აღმართები, თაღები და სხ. და სხ. და ყველა ამ მოწყობილებას ერთხელე დაწესებული სა-

მუდამო გეგმა აქვს, რომლითაც ამ სამეფოს ინკინერები უცვლელათ ასრულებენ. დარბაზის შუა გულში, რომელიც დაფარულია ყველა მხრიდან და შიშს გარეშეა, იმყოფება დიდი შეწინიერი სამეფო ოთახი, რომელიც ძლიერ წაავაეს თლიან ფეხს. ამ ოთახის გარშემო შემომწყრიბულან ოთახება ბაღლებისთვის, სადაც აწყვიან კვერცხები და დაცოკავენ ახლათ გამოჩეკილი მატლები. ამ ოთახებს იქით იწყება კიდევ ოთახები მოსამსახურეთა და მუშათათვის, რომელნიც ემსახურებიან დედოფალს. მას მე-

ლიც სულ ზემოთ თაღის ქვეშა გამართული, ეს დიდი დარბაზი უთუოთ საზოგადო ყრილობისთვის არის დანიშნული, ან არა და, როგორც ზოგიერთა სწავლულები ფიქრობენ, ჰაერის დასაწმენდათ თუა მოწყობილი. ყველა ოთახები და დარბაზები ბანებითა ნახური და მილებით გამართულა. წვიმის წყალი ამ აუარებელი მილებით ქვესქნელში ჩაღის*.

წარმოიდგინეთ მკითხველო, ბიუნენის გაუზომავს ეს თიხის ლულები და ზოგიერთის სიგანე გარდიგარდმო (დიამეტრი) 10—12 სანტიმეტრი აღ-



ტრემიტების (თეთრი ჯინჯვალა), შეფე, დელოფალი, მსუღარი, მუშა, ფრთხანი თეთრი ჯინჯვალა, ტრემიტების სსსსდე.

რე იწყება განსაკუთრებული ოთახები სამხედრო მილიციისათვის, რომელთა შორის დატანებულია უთუალაი საკუჭნაოები, სადაც ინახება სათადარიგო ფისი, გომიზი, მცენარეთა გამზარი წენი, მარკელეზი, ხილი, ხეების ნამტვრევები და სხვ. და სხვ. სამეფო სადგომის ზემოთ და მის ქვედა სართულში იმყოფებიან მრავალი ოთახები მუშათა და მხედართათვის. ამდენი ურიცხვი ოთახები ჯერ ერთმანეთთან შეერთებულები არიან განსაკუთრებული საეულით, დერეფნებით; მერე კი ყველა საეული გზებით და დერეფნები უერთდება ერთ დიდ დარბაზს, რომე-

მოჩენილა! ჩვენ რომ ბანებს წვიმის სადენ ლულებს ეუკეთებთ, სწორეთ იმადენები ყოფილა!

კიდევ ბერის ოთახებს და დერეფნებს აგვიწერს მეცნიერი ბიუნენერი, მაგრამ რა საჭიროა აგერ ნახატს დააკვირდით. აი, ეგ დიდი კოშკი განგებ შუაზე გაჭრილი, რომ კარკათ გაიშინჯოს შიგნითა მოწყობილება და მომართულება ტრემიტთა სამეფოსი. მაგას იქით შაქრის თაფლი რომ აწოწილან, ეგერიც ტრემიტთა ცალკე სადგომებია ერთსა და იმავე გეგმაზე აშენებული.

(შემდეგი: იქნება)

ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან

II

შემაჯგო *



ავდაპირველათ თეიმურაზის წადილის წინააღმდეგე ვახთა მასკოეში მყოფი ქართველობა: მეფე ეახტანე მეექვსეს შვილი ბაქარი და მისი ამაღლ. ქართლ-კახეთის შეერთება დღე-დღეზე იყო მოსალოდნელი; ხმაუ ვაგრცელდა 1742—43 წლებში; დაახ, არა უსაფუძვლოდ, რომ განთქმული შაჰი სპარსეთისა ნადირ, ერეკლეს ვაჟკაცობით გაეცირებულყო, აპირობსო, ქართლის ტახტი მისცეს თეიმურაზსაო, კახეთისა-კი ერეკლესო. ამ დროს ყაზარღოში იმყოფებოდა რუსის მთავრობისაგან გამოგზავნილი ბატონიშვილი ბაქარი. ეს იყო ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ეჭვი არ არის, რომ ბაქარი აპირებდა თეიმურაზის და მისი შვილის წინააღმდეგ მოქმედებას. ქართლის თავად-აზნაურთამაც მალე შეიტყო ბაქარის ყაზარღოში მოსვლა და ამილახვრის შვილების წინამძღოლობით მეფე თეიმურაზს წინააღმდეგობა გამოუცხადეს. ამ შემთხვევაში ტყუიერათ მოიქცა კახეთის მეფის მეფულე, თამარი, ბაქარის და. ეს კახეთიდან ქართლში მოვიდა და მოახდინა თავად აზნაურობის ყრილობა. თამარმა თხოვა კრებას, რომ მისთვის მიეცათ ქართლის გამგეობის უფლება. ამასთანავე მან გამოაცხადა, რომ მისი ქმარი და შვილი არაეითარ მანაწილეობას არ მიიღებენ ამ სამეფოს გამგეობაში *). თამარმა კარგათ იცოდა, რომ ქართლში, განსაკუთრებით ამილახვარნი არ დაეთანხმებოდენ არც თეიმურაზს, არც ერეკლეს, პირ-იქით ყოველ საქმეში და განკარგულებაში ისინი წინააღმდეგობას გაუწყებდნენ. ქართლის თავად-აზნაურობა დედოფლის თხოვნაზე დათანხმდა-ამგევათ, თამარმა თავისი თავი ქართლის მმართველათ გამოაცხადა. თავად-აზნაურების სურვილით ეს უფლება ექნებოდა თამარს მინიჭებული იმ დრომდე, ვიდრე მისი ძმები რუსეთიდან დაბრუნდებოდნენ. ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებდნენ ამილახვარნი, რომელნიც თავსა ზაცხდნენ ქართლის მეფის მოადგილეთ.

ამბობენ, რომ თვითონ თამარი წაიდა სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპანს, რათა პირადათ მოგხსენებინა შაჰისათვის ქართლის თავად-აზნაურთა სურვილი. შაჰის ბრძანებითაც თამარი დამტკიცე-

ბულ იქმნა ქართლის მმართველათ. ქართლში დროებით ჩამოვარდა სიხოუმე, მხოლოდ ამ მყოფდროებამ დიდხანს არ გაატანა.

თუმცა ქართლის მმართველათ ითვლებოდა თამარი, მაგრამ მას დიდი გავლენა არ ჰქონდა ამ სამეფოში: გამეფება ამილახვარიან ხელში იყო. ამიტომაც თეიმურაზ II-ემ და ერეკლემ განაგრძეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მამაშვილმა გადაწყვიტეს, რომ ჯერ ქართლ-კახეთის მოწინააღმდეგენი გივი ამილახვარი და ერისთავი შანშე მოეშორებინათ თავიდან. შანშე მალე შეიპყრეს და გაგზავნეს ნადირ შაჰთან, რომელმაც თვალში დათხოვეინა. მხოლოდ თეივი ამილახვრის დაქვარა არ იყო ავრე ადვილი. თეიმურაზი ბევრი ებრძოლა, სანამ მას სრულიათ დაამარცხებდა. ამილახვარიანთ საზოგადოთ ეჭირად მეფე ბაქარის მხარე, რომელთაც რუსეთის მთავრობაც შეელოდა. აქედან ცხადია, რომ სპარსეთი, როგორც მუდმივი მტერი რუსეთისა, უფრო თანაუგრძობდა თეიმურაზს. ამიტომაც ადვილი გასაგებია ნადირ-შაჰის წერილი, რომელშიაც იგი ურჩევს თეიმურაზს ქართლის დაქვრას: „თუ ქსნის ხეცსაც დაიქვრა, ორივე საერისთო შენთვის მოგვიცემია“: თეიმურაზმა ყვენის ბძანებით წაართვა არაგვის და ქსნის ერისთავებს მამული. ესენი ამ დროს ერთმანეთს ებრძოდნენ და ამით ქართლს აწუხებდნენ. ამილახვარ-შვილებმა თეიმურაზ მეფის ამგვარი მოქმედება რომ დაინახეს, ოსმალოს ჯარი მოიწვიეს უსუფ-ფაშის წინამძღოლობით. ხონთქარმა სხვათა შორის გივს ამილახვარს გამოუგზავნა „ხალათი, ცხენი და თეთრი ფრიალი“—ამ სიტყვებით: „გივც ჩვენს სამსახურზე ხმალს იწვევდეს, კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდესო“ *).

გივი ამილახვარი გამაგრდა სურამის და რუისის ციხეებში დიდ-ძალი ოსმალოს ჯარით, რომელშიაც ბევრი ლეკიც ყოია. იგი აპირობდა კახატონების შემუსვრას. ეს ამბავი მალე გაიგო თეიმურაზმა და მაშინვე წამოვიდა გივის წინააღმდეგ თავის ჯარით, რომლის მხედართ-მთავრათ იყო ერეკლე ბატონიშვილი. კახლნი მიადგნენ აჩაბეთის ციხეს, სადაც იმყოფებოდა ერთი ნაწილი ოსმალოს ჯარისა. ერეკლემ ბძანებით კახლნი გადაცინდნენ ციხეში და სურამ აიღეს. ამ დროს მოვიდა გივიც დანარჩენი ჯარის კაცით და გარს შემოადგა ბატონიშვილს. გამოვიდნენ კახლნი ციხიდან და დაუშინეს მტრებს. ატყდა საშინელი ომი, ასე რომ პაპუნა ორბელიანის სიტყვით: „თოფის ხმისაგან ყურთა

*) იტოლ კვალ № 6

**) Ист. Георгіанск. 39 ფ.

*) ქართ. ცხ- II 6. 363 ფ.

სმენა აღარ იყო. ოსმალოს ჯარმა ვერ დაიმაგრა კახელები და უსუსუ-ფაშის ბძანებით უკან დაბრუნდნენ. ამით ისარგებლა ერეკლემ და გამოუღდა შემინებულ მტერს. კახელი მიჰყვენ „კავით“ ცხინვალამდის. „უნდა გენახათ მას დღეს ბატონიშვილი ერეკლე“—ამოხმის პაპუნა—, „მას ბძანებდით: როგორც ლომი, გვგრ იბრძვისო. ასაკით იყო მცირე, მაგრამ რასაც საქმეს იქმოდა, ფალავანის შესადარისი იქნებოდა“. ამგვარათ გათავდა ეს პირველი

შეტაკება კახელებისა შერთებულ ოსმალ-ქართველ ჯართან. დიდ შემწეობას უწევდა ერეკლე თავის მამას თეიმურაზს. თვითონ თეიმურაზი დიდთ აფასებდა პატარა კახსა და ხანში შესული და გამოცდილი სარდალი არ თაკილობდა ოცდა-ოთხი წლის მხედართ-მთავრის ხელ-ქვეითობას.

(შემდეგი იქნება)

ა. გარსევანიძის

პ ა რ ტ ა ხ ი

(მოთხრობა გვ. ნინოშვილისა).

შემდეგი *)

XI

სვებამ შემეგინა გარეთ და სახე-გაფითრებულმა ხმის კანკალით გაუმხილა ყოველივე, — თუ როგორ ნახე ელისაბედმა მელანია და ლევან ერთათ და სხვა. თითონ მელანია ამ დროს პატარა სახლში იყო და ვახშამს ამზადებდა. ჯერანს ისეთი სახე დაეღდა, რომ იფიქრებდით—კოფებდა, ან ანთება ემართებოდა. ის ხმა ამოუღებლივ შევიდა სახლში, ჩამოიღო თოფი და დაპირა გარეთ გაეარდა. მაგრამ მას ეცნო ხელში განზრახ ამ საქმისთვის მოწვეული მეზობლები და, როგორც იყო, წაართვის თოფი. ჯერან ახლა მივიარდა დამბახს, იგდო ხელში, ერთი ლომივით დატრიალდა, შემოიკვალა გარს ყველა. მაგრამ კარებში ხელ-ახლავ შემოქცნ. მხოლოთ ეს კი, რომ არ იქნა, დამბახა ვერ წაართვის ხელდან. „გამიშეთ! გამიშეთ!“ გიყვით ყვიროდა ჯერან. მაგრამ მეზობლებს მაგრათ ეჭირათ ხელში და ეუბნებოდნენ: „გადირო, ბიჭო, თავს იღუპავ! შენსვამეტს არ დამართია ამისთანაი თუ! ციხბრში ვაკავზანიან. დედა და დი მინც აღარ გეცოდება?“ ამ ხმაურობაზე მოვიდნენ სხვა მეზობლებიც, რომლებთანაც ზოგი ეხვეწებოდა ჯერანს დადმდიო, ზოგი უწყურებოდა— „ჩვენც კაკი ვართ, დავეიჯერე, თვარა ბაწრით შეგკრათ და ესე გამოყუფებთ“. ზოგი უსახელებდა მაგალითებს— ამა-და-ამ კაცებს დემართა შენსავით, მარა ცოლი არ მოუკლავსო. ქალები კი მელანიას შემოეხებენ და ერთ შეადღეს აყენებდნენ: „ცხენის

ძუზე ჩამოსაკიდი ხარ! მიწაში უნდა ჩაძვრე! რავე გაბედე ასე ქვეყნის დაქტევა*ო და სხვა; მელანია კი ეგდო მიწაზე და ტირიდა. თავის გასამართლებლათ ერთ სიტყვასაც ვერ ახერხებდა. უკანასკნელ თან მოქანცულმა და თან მეზობლების რჩევით გონზე მოსულმა ჯერანმა გაავდო დამბახა ხელიდან. ამას შემდეგ სამ დღეს კიდევ მალაედა თეკლე მელანიას თავის ოჯახში. მეოთხე დღეს მეზობლები ჩამოდგენ მოსაშუალებთ და შეარჩვეს ჯერანს ცოლი. ამას შემდეგ წაიშალა ჯერანმა ხელი ცოლზე საცემართ, დაეიწყდა, რომ ამბობდა: „ცოლის ეინც ვაღიზავს, იგი კაცათ არ მიხსენებია“. ამიხეზებდა რალაც უშინწველია მიხეზს, მოაგლებდა მელანიას თმში ხელს, დასცემდა მიწაზე და ამოიყრიდა ჯერანს. ხვარამზე და მისი ქალი ეცემოდენ ჯერანს ხელში დასაკაეებლათ, მაგრამ რას გახებოდა ორი სუსტი ქალის ძალა ვალომებულ ეაკაცთან! ხანდახან პატარა ლუკა იხსნიდა დედას ცემისავან: ის გაბამდა საშინელ ტირილს და ყვირილს, როცა დედას მიწაზე დაკეპულს დაინახავდა. ჯერანსაც მოუღებოდა გული შეილის ტირილზე და დაეზოგოდა მელანიას. მელანია დანაშაულთ გრძობდა თავს და ამიტომ ემორჩილებოდა ქმრის სისასტაკეს. ფექარათაც აღარ მოსვლია იმ შემთხვევას შემდეგ ქმრის სახლიდან გაქცევა, ან კი და სად უნდა წასულიყო? მისმა მშობლებმა როცა შეიტყვეს—ჩვენ ქალს ქმრისათვის უღალატნიაო, წყევა-კრულვით გამოეზოვენ მას. მელანია ყოველთვის ტირილს დაიწყებდა, როცა ვახსენებოდა მამის სიტყვები: „თავი მომჭერი ამ სიბერის დღეს, მარა ჩემმა თვალმა აღარ გნახოს ამას იქით! შენ დღეს იქით აღარ გვაყვ არც დედამამა და არც დამამებო. მართალია, მელანია ძლიერ იშვიათათ დადიოდა მშობლების სახლში; ხანდახან მამა თუ იწახულებდა თავის ქალს, აფარა სიდედრი, ცოლის დები და ცოლის ძმები დათბოენილი ჰყავდა ჯერანს თავის სახლიდან. მაგრამ მელანიას მაინც


*) იხ. „გველი“ № 7.

დიდ იმედათ მიაჩნდათ ისინი. ახლა ყველა დაჰკარგა! ლევანის ნახვა ხომ აღარ შეეძლო და არა მელანისა. ზეარამზე და მისი ქალი ახლა კარზე აღარ უშვებდენ რძალს მარტო. თითარი ლევანსაც ხომ ესეთი დღე დააყენეს მშობლებმა: — „რავა ვაგებდე ქალის შეყვარება“; მერე მოუწახეს საკოლე და თითქმის ძალათ დააწერინეს ზედ ჯვარი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ სულ მთლათ მოხარმა მიანც მელანისა გული. მთელ ღამეებს ატარებდა ტირილით.

არ გაუვლია ზემო აწერილ შემთხვევას შემდეგ ორ თვეს, რომ მეორე თავზარ-დამცემი შემთხვევა მოხდა ჯერან ტყერობის ოჯახში: ჯერანის ვაჟი, ლუკა, მოკვდა ყელის ტკივილით, ანუ როგორც სოფელში ეძახიან „კისერ-ბატონებით“. ლუკას სიკვდილში, რა თქმა უნდა, მთელი ოჯახი მწარეთ დაატოვია; ზეარამზე დღე-ღამე არ ისვენებდა გლოვიანად; ელისაბედ ყოველ დღე მივირუნდა ლუკას პერანგს, რომელიც თავის ხელით შეუქერა და აყრიდა ზედ სრემლებს; ჯერან ცოცხალ-მკვდა-

რი დადიოდა და ყოველ წამში ოხვრით ამოიძახებდა — „ვიმე შეილო!“. მაგრამ მელანისა მწუხარება სულ სხვა იყო: მელანისათვის შეილის სიკვდილით მოკლამ ყოველივე ნუტევი; ის ხშირათ ეკითხებოდა თავისთავს: „მას შემდეგ რაღაიზა ვარ ცოცხალი! რეიზა არ ვაგეყვი ჩემ ლუკას“ო. მართალია აიმედებდენ, მტადრე თვლენ: „ანუ გემონია, ჯერ კიდო ბაღანი ხარ, ასე ქეია, შეილსაც მოგწრობი და ყოლიფერ სიკეთესა“ო. მაგრამ მელანისათვის ახლა აღარ ჰქონდა ამ სიტყვებს მანუტევი მებელი ძალა; ცხოვრების უკუ მართობამ ასწავლა მას ყოველივესთვის ეჭვის თვლით ემზირა. ოჯახი კი ისე უყურებდა მელანისა, თითქო ამ უკანასკნელს მოკვალას თავისი შეილი. „შენმა კოლემ ამ ურჯულობამ დაექცია ჩენი ოჯახი“ო — ეუბნებოდა მას ხან მული და ხან დედათილი. „შენ არ მოკტები, თვარა სხვაი ყველია“ო. — რამდენჯერღვე უთხრა ქმარმა. „ეითამ ჰქონდა დასაკტევი ყოფილა იი სიკეთილი! ვისაც არ უნდა, იმას კოლეს და ჩემისთანა უბედურს არ ეკარება“ო — თქირობდა მელანია.

(შემდეგ იქნება)



„აკვალის“ და მესამე დასის მწერლები

(ჩვენს ლიტერატურულ იდეოუსია)

წერილი პირველი

Тетервавъ не дотать по деревьямъ.

I



ვიღ მაისს გასული წლისას გაუმადლარმა დედამწამ მიიბარა თავის ცოც მკერდში გასციებული გვამი ახალგაზდა ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილისა. აგრე უტბათ დაკარგვამ სალიტერატურო ასპარეზზე ახლათ გამოსული მწერლისამ გამოიწვია, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩენს საზოგადოებაში უყვარი რაღაც რეფლექტორული, მაგრამ გულწრფელი თანაგრძობა. მან წყნარათ, ქართულურა გულმტკივნეულობით, გადაუხდა უკანასკნელი ეალი თავის უღროათ დაკარგულ შეილს. ჩენს ნავიც ლიტერატურებს ეს წყნარი თანაგრძობაც გაზვიადებულ-გადაჭარბებულათ მოეჩვენათ. ეს აგრეც უნდა მომხდარიყო: ეგნატე, როგორც დაუძინებელი მტერი რუტინისა და ავტორიტეტისა, სრულიათ არ თვლიდა საჭიროთ მოედრეკა მულის ნაფიც ლიტერატორთა წინაშე. ის თავისი საკუთარი ძალ-ღონით ჰკაფავდა ცხოვრების დაბურულ, გაუვალ ტყეს და ეწეოდა მძიმე უღელს თავის ვაკეფულ ბილიტზე. ჩენი ოლი

